აიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-1008

27.08.2013

ქ. თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატის საფეხურზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, რექტორის 2013 წლის 28 აგვისტოს №01-2647 მინდობილობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის 39-ე მუხლის, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ლელა ხომერიკის 2013 წლის 26 აგვისტოს №03-13677/13, ბიზნესის სკოლის დეკანის მიხეილ ბატიაშვილის 2013 წლის 26 აგვისტოს №03-13676/13, სამართლის სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ნინო გოგიბერიძის 2013 წლის 26 აგვისტოს №03-13810/13, საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მიხეილ ელაშვილის 2013 წლის 27 აგვისტოს №03-14057/13 და 2013 წლის 27 აგვისტოს №03-14116/13 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვბრძანებ

1. 2013-2014 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 2 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, ქვემოთჩამოთვლილ მისამართებზე:

ა) ბიზნესის სკოლა - ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, ოთახი E406, ყოველდღე, კვირის გარდა,10:00 საათიდან 17:00 საათამდე;

ბ) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - ჭავჭავაძის გამზირი №32, ოთახი A206, ყოველდღე, კვირის გარდა,10:00 საათიდან 16:00 საათამდე;

გ) სამართლის სკოლა - ჭავჭავაძის გამზირი №32, ოთახი A406, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე;

დ) საინჟინრო ფაკულტეტი - ჭავჭავაძის გამზირი №32, ოთახი A207, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

2. 2013-2014 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე რეგისტრაციაგავლილ აბიტურიენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2013 წლის 24 სექტემბერი;

3. სტუდენტთა რეგისტრაციასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ:

ა) ბიზნესის სკოლა - თამარ თაყაიშვილი;

ბ) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - თამარ ცაგარეიშვილი;

გ) სამართლის სკოლა - თამარ გერაძე;

დ) საინჟინრო ფაკულტეტი - ანა ბერძენიშვილი (2-4 სექტემბერი), თინათინ ღვინიაშვილი (5-20 სექტემბერი), ნინო გეგუჩაძე (ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი).

4. 2013-2014 სასწავლო წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დაწყების მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობა/ID ბარათი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი). უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტის (ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების პლასტიკური ბარათი (სასურველია);

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - ატესტატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული სრული ზოგადი განათლების შემთვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ ვაჟებისთვის);

ე) 1 ფოტო სურათი ზომით $^3/_4$ და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD).

5. ფაკულტეტებს დაევალოთ უნივერსიტეტის რექტორს არაუგვიანეს 2013 წლის 25 სექტემბერს წარუდგინონ იმ აბიტურიენტთა სია, ვინც გააფორმა უნივერსიტეტთან ხელშეკრულება.

6. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესის სკოლას.

კანცელარიის უფროსი მაია თევდორაძე